ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7859567

ნომერი: AR11132717

თარიღი : 20.03.2026

გაცემის თარიღი : 26.03.2026

გაცნობის თარიღი : 27.03.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ქვალონის ქ. N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ გიორგაძე პ/ნ 01009018474
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 47ბ ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: მოთხოვნის ტექსტში თქვენს მიერ დაკონკრეტდა საპროექტო შენობის ფუნქცია, რომელიც არის სარიტუალო შოუ-რუმი. , ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–105 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ შესაბამისად მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (სზ-1), ხოლო „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–16 მუხლისა და დანართის მიხედვით, თქვენს მიერ მითითებული ფუნქცია არ შედის დასაშვებ სახეობათა ნუსხაში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს წერილობითი დასტური მშენებლობის განხორციელების შესაძებლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას სარიტუალო შოუ-რუმის მშენებლობის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.